



სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“	204952676	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ.		
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი ნომერი	(საიდენ.)	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)	
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
	2223874			greenalt@greenalt.org
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე ირმა მახათაძე		0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. თბილისი, კოსტავას ქ. #76ა, ბ.6		
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი		
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
				ngujaraidze@greenalt.org irmamakhatadze2017@gmail.com
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე:

1. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო 2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	202482571	1. ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 150; 2. ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.2		
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)		
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი		
	1. 243 95 57 2. 299 11 11	1. 591 40 40 51 2. 299 11 05		1. info@nam.gov.ge 2. ministry@moesd.gov.ge
სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge			

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი		
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი			
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2020 წლის 11 თებერვალს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გამოსცა ბრძანება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ რომლითაც დამტკიცდა საქართველოს მასშტაბით ერთდროულად 100 წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიის გაყიდვის გეგმა.

2020 წლის 9 მარტს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების საფუძველზე მოითხოვა - „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 11 თებერვლის № 156/ს ბრძანების ბათილად ცნობა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 10 მარტის 1-1/127 ბრძანებით ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2020 წლის 9 მარტის ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა განისაზღვრა მიღებიდან ორი თვე, ანუ 2020 წლის 10 მაისის ჩათვლით.

სზაკ-ის 177.2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობაში წარადგინა 2020 წლის 9 მარტს, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 10 მარტის #1-1/127 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა გავიდა 2020 წლის 10 მაისს - სახეუა ადმინისტრაციული ორგანოს უარი ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის არსებითი დარღვევით და უხეშად არღვევს დაინტერესებული პირების, მათ შორის ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, რის გამოც წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 11 თებერვალს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გამოსცა ბრძანება „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ რომლითაც დამტკიცდა საქართველოს მასშტაბით ერთდროულად 100 წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიის გაყიდვის გეგმა.

მტკიცებულება - დანართი #1. - [„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 11 თებერვლის № 156/ს ბრძანება.](#)

2. ფაქტობრივი გარემოება

წიაღის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და წიაღის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების მასშტაბური პროგრამა დაიწყო. პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეირჩა და აუქციონზე განთავსდა კომერციულად მიმზიდველი 100 საბადო. პროცესი იქნება მაქსიმალურად გამჭვირვალე და ყველა დაინტერესებულ პირს ექნება თანაბარი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ელექტრონულ ვაჭრობაში“.

მტკიცებულება - დანართი #2. - [წიაღის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია.](#)

3. ფაქტობრივი გარემოება

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 11 თებერვლის № 156/ს ბრძანებით დამტკიცდა აუქციონის ჩატარებისათვის ელექტრონული აუქციონის გამომცხადებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №1-ის შესაბამისად.

მტკიცებულება - დანართი #1. - [„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 11 თებერვლის № 156/ს ბრძანება.](#)

4. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 3 თებერვალს წიაღის ეროვნულმა სააგენტომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა გასაჩივრებელი ბრძანებით დამტკიცებული დანართის ობიექტი №2-ისათვის - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე, „ღორეშას“ გამარმარილოებული (მოსაპირკეთებელი) კირქვის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპირკეთებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (სამივე უბანზე ერთად) - 890 625 მ3) - სკრინინგის განცხადებით. განცხადებაზე გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული, თუმცა კოდექსის თანახმად, სამინისტროს გადაწყვეტილება 17-დან 24 თებერვლამდე უნდა მიედ.

მტკიცებულება - დანართი #3 - [სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე 890 625 მ3 „ღორეშას“ კირქვის \(სხვა საშენი მასალა\) მოპოვების \(ID-49314, 29.10.2019\) სკრინინგის განცხადება.](#)

5. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 23 იანვარს წიაღის ეროვნულმა სააგენტომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა გასაჩივრებელი ბრძანებით დამტკიცებული დანართის ობიექტი №6-ისათვის - ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფანშეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ფანშეთის“ მინერალური წყლის მოპოვება (ჭაბ. №2; 3; 4) (კატეგორია - B, მოსაპირკეთებელი (ჩამოსასხმელი) წიაღისეულის მოცულობა (სამივე ჭაბურღილზე ერთად) – 416 100 მ3/წელიწადში) - სკრინინგის განცხადებით. გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული, თუმცა კოდექსის შესაბამისად, სამინისტროს გადაწყვეტილება 6-დან 14 თებერვლამდე უნდა მიედ.

მტკიცებულება - დანართი #4 - [ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფანშეთის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის ნახშირმჟავა მინერალური წყლის, 416 100 მ3/წელიწადში \(ჩამოსხმის მიზნით\) მოპოვების სკრინინგის განცხადება.](#)

6. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 30 იანვარს წიაღის ეროვნულმა სააგენტომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა გასაჩივრებული ბრძანებით დამტკიცებული დანართის ობიექტი №10-ისათვის - ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. მოდეგას მიმდებარე ტერიტორიაზე, „მოდეგის“ ვულკანური წიღის საბადო (კატეგორია -A+B+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 20 701 700 მ3)- სკრინინგის განცხადებით.

2020 წლის 7 თებერვალს სამინისტრომ აცნობა სააგენტოს, რომ „სალიცენზიო ობიექტის ფართობი შეადგენს 551510 მ2-ს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარმოადგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად“. აღნიშნულის შესახებ არ არის მითითებული ბრძანებაში და შესაბამისად, აუქციონის განცხადებაშიც.

მტკიცებულება - დანართი #5 - [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 7 თებერვლის წერილი](#)

7. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 30 იანვარს წიაღის ეროვნულმა სააგენტომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა გასაჩივრებული ბრძანებით დამტკიცებული დანართის ობიექტი №11-ისათვის - ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანდრიაწმინდას მიმდებარე ტერიტორიაზე, „ოღუნდის“ ტუფობრეჭიის საბადო (კატეგორია - B+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის (საღორღე ნედლეული) ჯამური მოცულობა - 3 398 000 მ3) - სკრინინგის განცხადებით.

სამინისტრომ გადაწყვეტილება 24 თებერვალს მიიღო, რომლის თანახმად სოფ. ანდრიაწმინდას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, „ოღუნდის“ ტუფობრეჭიის მოპოვება დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

მტკიცებულება - დანართი #6 - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანდრიაწმინდას მიმდებარე ტერიტორიაზე, 3 398 000 მ3 „ოღუნდის“ ტუფობრეჭიის მოპოვების [სკრინინგის განცხადება](#) და სამინისტროს 2020 წლის 24 თებერვლის [გადაწყვეტილება](#).

8. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 17 იანვარს წიაღის ეროვნულმა სააგენტომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა გასაჩივრებული ბრძანებით დამტკიცებული დანართის ობიექტი №13-ისათვის - დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაქართას მიმდებარე ტერიტორიაზე, „მაქართას“ მინერალური წყლის საბადო (კატეგორია - C1+C2+B, მოსაპოვებელი (ჩამოსასხმელი) წიაღისეულის მოცულობა (სამივე ქაბურღილზე ერთად) – 138 335 მ3/წელიწადში) - სკრინინგის განცხადებით.

სამინისტრომ 2020 წლის 14 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაქართას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, მაქართას მინერალური წყლის მოპოვება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

მტკიცებულება - დანართი #7 - [„დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაქართას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, მაქართას მინერალური წყლის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის #2-133 ბრძანება.](#)

9. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 30 იანვარს წიაღის ეროვნულმა სააგენტომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართა გასაჩივრებული ბრძანებით დამტკიცებული დანართის ობიექტი №24-ისათვის - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. კათნატუს მიმდებარე ტერიტორიაზე, „ხანჩალის“ ტორფის საბადო (კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 63 000 ტონა) - სკრინინგის განცხადებით.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, სამინისტროს გადაწყვეტილება 13-დან 20 თებერვლამდე უნდა მიეღო.

მტკიცებულება - დანართი #8 - [სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. კატნატუს მიმდებარე ტერიტორიაზე, 63 000 ტ „ხანჩალის“ ტორფის მოპოვების სკრინინგის განცხადება.](#)

10. ფაქტობრივი გარემოება

ობიექტი №5 - ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბენარას მიმდებარე ტერიტორიაზე, „ჩურჩუტო-ჩინელის“ ბენტონიტური თიხის საბადო (კატეგორია - B+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 16 613 000 ტონა), ობიექტი №15 - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ფოკას მიმდებარე ტერიტორიაზე, „ფოკის“ ვულკანური წიღის საბადო (კატეგორია - A+B+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 7 895 000 მ3), ობიექტი №16 - ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წყორძას მიმდებარე ტერიტორიაზე, „ქისათიბის“ დიატომიტის საბადო (კატეგორია - A+B+C1+C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 10 380 000 ტონა), ობიექტი №19 - სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბოდბეს მიმდებარე ტერიტორიაზე, „ბოდბეს“ გამარმარილოებული კირქვის (მოსაპირკეთებელი) საბადო (კატეგორია - A+B+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 260 400 მ3), ობიექტი №22 - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. განძანის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ავჭალის“ ტორფის საბადო (კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 255 000 ტონა), ობიექტი №26 - კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო ხანდაკის მიმდებარე ტერიტორიაზე, „თეძამის“ ცეოლითის შემცველი ტუფების (უბანი სამხრეთი) საბადო (კატეგორია - B+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 13 128 401 ტონა) - გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, ეს საქმიანობები ექვემდებარება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა და შემდეგ მე-10 მუხლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება; თუმცა, ამის შესახებ არ არის მითითებული არც ბრძანებაში და არც აუქციონის განცხადებაში, როგორც ეს სხვა შემთხვევებშია.

მტკიცებულება - დანართი #1 - [„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 11 თებერვლის № 156/ს ბრძანება.](#)

11. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 20 თებერვალს მწვანე ალტერნატივას მოთხოვნის საფუძველზე გადაეცა „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 11 თებერვლის № 156/ს ბრძანება.

მტკიცებულება - დანართი #9 - [წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის #22/65 წერილი.](#)

12. ფაქტობრივი გარემოება

2020 წლის 9 მარტს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების საფუძველზე მოითხოვა - „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 11 თებერვლის № 156/ს ბრძანების ბათილად ცნობა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 10 მარტის 1-1/127 ბრძანებით ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2020 წლის 9 მარტის ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული და ადმინისტრაციული საცივრის განხილვის ვადა განისაზღვრა მიღებიდან ორი თვე, ანუ 2020 წლის 10 მაისი ჩათვლით. სზაკ-ის 177.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობაში წარადგინა 2020 წლის 9 მარტს, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის

10 მარტის #1-1/127 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა გავიდა 2020 წლის 10 მაისს სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს უარი ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მტკიცებულება - დანართი #10 - [ა\(ა\)იპ „მწვანე ალტერნატივას“ 2020 წლის 09 მარტის ადმინისტრაციული საჩივარი;](#) დანართი #11. [საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 10 მარტის #1-1/127 ბრძანება.](#)

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი - „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 11 თებერვლის № 156/ს ბრძანება.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ:

1.1. სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა პასუხობდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანმიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანმიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ. სარჩელი)

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომლის იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 150;

2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 11 თებერვლის № 156/ს ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2.2. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 11 თებერვლის № 156/ს ბრძანება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია საქართველოს მასშტაბით ერთდროულად 100 წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიის გაყიდვის გეგმა.

2.3. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

2.4. სზაკ-ის 6.1 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

2.5. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება **მხოლოდ იმ მიზნით**, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

2.6. სზაკ-ის 7.1 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა.

2.7. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, **დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.**

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, თუმცა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ცალსახად დასტურდება, რომ სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს ეს უფლებამოსილება კანონით დადგენილ ფარგლებში და იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც აქვს ეს უფლებამოსილება მინიჭებული არ განუხორციელებია, რის გამოც სახეზეა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ზომებით პირის(პირთა) კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. კერძოდ:

3. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-7 მუხლი “საზოგადოების მონაწილეობა იმ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში, რომელიც გარემოსთან არის დაკავშირებული”, რომლის თანახმად, „ყოველი მხარე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი პრაქტიკული და/ან სხვა ზომები იმისათვის, რათა საზოგადოებამ გამჭვირვალე და სამართლიან ჩარჩოებში მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმების და პროგრამების შემუშავებაში და მიაწოდოს საზოგადოებას საჭირო ინფორმაცია. ამ ჩარჩოებში გამოიყენება მე-6 მუხლის მე-3, მე-4 და მე-8 პუნქტები“.

კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პუნქტის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის“; მე-4 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის

მიღების შესაძლებლობა“; ხოლო მე-8 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს“.

სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობა გარემოსთან გარემოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის გარემოდან ამოღებას და ყველა დანარჩენ კომპონენტზე, მათ შორის ადამიანზე ზემოქმედებას გულისხმობს. როგორც თავად სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია მითითებული გასაჩივრებული ბრძანებით დამტკიცდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების მასშტაბური პროგრამა, რომლის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეირჩა და აუქციონზე განთავსდა კომერციულად მიმზიდველი 100 საბადო.

ამდენად, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო ვალდებული იყო უზრუნველყოფს „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა.

ა(ა)ი მწვანე ალტერნატივამ, ისევე როგორც დანარჩენმა საზოგადოებამ, გადაწყვეტილების მიღების შესახებ მხოლოდ აუქციონების შესახებ განცხადებების გამოქვეყნების შემდეგ გაიგო. ამდენად, სააგენტომ არ უზრუნველყო არათუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების (მათ შორის ჩვენი) მონაწილეობა, არამედ პროცესის შესახებ ინფორმაციაც კი არ გაუზრცლებია დადგენილი წესით და უკვე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობა საზოგადოებას.

4.“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ და „ა.ა“ ქვეპუნქტები, რომლის თანახმად - ლიცენზია არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება: სარგებლობის ლიცენზია არის ლიცენზიის სახეობა, რომლითაც პირს ენიჭება ამ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის უფლება. სარგებლობის ლიცენზია გაცემა აუქციონის წესით და უკავშირდება ობიექტს.

4.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 7.3 მუხლი რომლის თანახმად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო აუქციონის გამოცხადებამდე სკრინინგის განცხადებით მიმართავს სამინისტროს ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად“. იმავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, „თუ სამინისტრო სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები“; ხოლო მე-9 ნაწილის თანახმად, „სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ, ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას მინისტრი იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ“.

სსიპ წიაღის ეროვნულმა სააგენტომ გასაჩივრებული ბრძანებით დამტკიცებული დანართში ისე შეიტანა №2, №6, №11, №13 და №24 ობიექტები, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯერ არ ჰქონდა მიღებული წარდგენილ სკრინინგის განცხადებებზე გადაწყვეტილება ანუ, ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი არათუ ის აუქციონზე გასატანი ობიექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ექვემდებარება, თუ მხოლოდ ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებას; არამედ, არ იყო ცნობილი საერთოდ მიზანშეწონილად მიაჩნდა თუ არა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონკრეტული ლიცენზიების გაყიდვა.

5. „სასარგებლო წიაღისეულის სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანების მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, აუქციონის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ბ) სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტულ ობიექტს; დ) კანონმდებლობით დადგენილ სალიცენზიო პირობებს; და ე) მოთხოვნებს კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის.

(1) გარდა იმისა, რომ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემისას, №2, №6, №11, №13 და №24 ობიექტებისათვის ჯერ კიდევ არ იყო მიღებული გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის საფუძველზე რა სალიცენზიო პირობა დაუდგინებოდა კონკრეტულ ობიექტს; (2) №5, №15, №16, №19, №22 და №26 ობიექტების შესახებ გასაჩივრებული ბრძანების დანართში არ არის მითითებული, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, ეს საქმიანობები ექვემდებარება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას და რომ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს ჯერ სკოპინგის პროცედურის გავლა და შემდეგ მე-10 მუხლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება. (3) „სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტის“ გრაფაში სალიცენზიო ობიექტების შესახებ გასაჩივრებული ბრძანებით განსაზღვრულ ინფორმაციაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სარგებლობის ლიცენზიის ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობის და ფართობის შესახებ, არ არის წარმოდგენილი ობიექტის კოორდინატები და/ან სალიცენზიო ტერიტორიის ამსახველი რუკები.

6. სზაკ-ის 53-ე, 96-ე მუხლები;

7. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 10 მაისის ბრძანება (ვირტუალური იასა) ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ:

1.1. სასკ-ის 177.3 მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა პასუხობდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანმიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანმიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ. სარჩელი)

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ. რომლის იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.2;

2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

2.1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2.2. სზაკ-ია 183.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში.

2.3. სზაკ-ის 201.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
- გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2.4. სზაკ-ის 177.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

სზაკ-ის 185-ე მუხლის თანახმად თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი.

2.5. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

2.6. სზაკ-ის 180.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ამავე კოდექსის 178.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს შემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სადაც შემოადინებული გასაჩივრების ვადის დაცვით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი 2020 წლის 09 მარტს, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის განსაზღვრული დრო (ორი თვე) ამოიწურა 2020 წლის 10 მაისს, მაშასადამე, სზაკ-ის 177.2 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სახეზეა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილება ე.წ. ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს 2020 წლის 09 მარტის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

2.7 სზაკ-ის 2.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის გამოცემას. ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული მასშტაბით გამოყენებას, მხარისთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას, რაც განსახილველ შემთხვევაში ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, საქართველოს მთავრობამ არ განახორციელა. შესაბამისად არსებობს გასაჩივრებული ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სწავის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები.

2.8. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

მტკიცებითი შუამდგომლობები	
მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
 დაევალოს მოპასუხეებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად წარმოდგენა.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

სარჩელის ფასი — არაქონებრივი ლარი
 სახელმწიფო ბაჟი — 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის #: 200122900 (იხ. [სახაზინო კოდეზი](#))

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიას არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიას არა

რის საფუძველზე??

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიას მტკიცებულება:

არა რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიას მორიგების პირობები:

არა რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა


რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და შესწავლა - მოპოვების ლიცენზიების გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 11 თებერვლის № 156/ს ბრძანება - 193 გვერდი;
2. წიაღის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია - 1 გვერდი;
3. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღორეშას მიმდებარე ტერიტორიაზე 890 625 მ3 „ღორეშას“ კირქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების (ID-49314, 29.10.2019) სკრინინგის განცხადება - 5 გვერდი;
4. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფანშეთის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის ნახშირმჟავა მინერალური წყლის, 416 100 მ3/წელიწადში (ჩამოსხმის მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება - 6 გვერდი;
5. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 7 თებერვლის წერილი - 1 გვერდი;
6. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანდრიაწმინდას მიმდებარე ტერიტორიაზე, 3 398 000 მ3 „ოლუნდის“ ტუფობრეჭიის მოპოვების სკრინინგის განცხადება და სამინისტროს 2020 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება - 11 გვერდი;
7. „ღუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მაქართას მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის, მაქართას მინერალური წყლის მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 თებერვლის #2-133 ბრძანება - 3 ფურცელი;
8. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. კათნატუს მიმდებარე ტერიტორიაზე, 63 000 ტ „ხანჩალის“ ტორფის მოპოვების სკრინინგის განცხადება - 3 გვერდი;

9. წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 19 თებერვლის #22/65 წერილი - 1 გვერდი;
10. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას 2020 წლის 9 მარტის ადმინისტრაციული საჩივარი - 10 გვერდი;
11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 10 მარტის #1-/127 ბრძანება - 1 გვერდი;
12. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 გვერდი;
13. რწმუნებულება - 2 გვერდი;
14. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 240 ფურცელი.



სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დიახ	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია სხლომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. სარჩელი ხელმოწერილია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14. სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> პუნქტების ჩამონათვალი		

